

# VYNITY

**Q3 2024**

ენერგეტიკის სექტორის ანგარიში  
მიმოხილვა

## მოკლე შეჯამება

ენერჯეტიკის სექტორმა საქართველოში 2024 წლის მესამე კვარტალში შერეული შედეგები აჩვენა. შიდა მოხმარება მნიშვნელოვანი ზრდით გამოიჩინა, თუმცა ექსპორტი საგრძნობლად შემცირდა გაზრდილი ადგილობრივი მოთხოვნისა და გარე ბაზრის გამოწვევების გამო. ჰიდროენერჯეტიკა კვლავაც რჩება გენერაციის დომინანტ წყაროდ, რომელსაც თბოსადგურები და მცირე წილით ქარის ენერჯიაც ავსებს.

### 1. მოხმარება:

შიდა მოთხოვნა:

- საერთო მოხმარება Q3: 3,999.826 მლნ კვტ/სთ (-1.6% წ/წ).
- შიდა მოხმარება: 2,883.97 მლნ კვტ/სთ (+14% წ/წ).
- მოსახლეობის ელექტროენერჯიის მოხმარება Q3-ში გაიზარდა 7%-ით, რაც გამოწვეულია ტურიზმის ზრდით და საცხოვრებელი მშენებლობების აქტიურობით.

კვალიფიციური მომხმარებლები:

- საერთო მოხმარების 29% მოდის მათზე.
- ძირითადი სექტორები: მეტალურგია (+15% წ/წ) და კრიპტოვალუტების მაინინგი (+345% წ/წ).

## 2. ექსპორტი:

- ექსპორტირებული ელექტროენერგია: 288.14 მლნ კვტ/სთ, რაც წინა წელთან შედარებით შემცირდა 59%-ით.
- ძირითადი ბაზრები: თურქეთი (79.8%) და სომხეთი.
- 9 თვის ჯამური ექსპორტი: 1,045.14 მლნ კვტ/სთ (-29% წ/წ).

## 3. გენერაცია:

- ჰიდროენერგეტიკა: გენერაციის მთავარი წყარო, რომელიც პირველ 9 თვეში აწარმოებდა 9,480 მლნ კვტ/სთ. მიუხედავად ამისა, Q3-ში 2%-იანი კლება დაფიქსირდა წინა წელთან შედარებით.
- თბოსადგურები: მესამე კვარტალში გამოიმუშავეს 575.94 მლნ კვტ/სთ, რაც 2023 წელთან შედარებით მცირე კლებაა.
- ქარის სადგურები: საერთო გენერაციის მხოლოდ 1%-ს წარმოადგენს.
- იმპორტი: საქართველოში იმპორტირებული ელექტროენერგიის მოცულობა შეადგენდა 36.98 მლნ კვტ/სთ, ძირითადად რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან.

## 4. ფასები:

- საბითუმო ელექტროენერგიის ფასები გაიზარდა გაზრდილი მოთხოვნის გამო. ESCO-ს მიერ შესყიდვის ფასი იყო 18 თეთრი/კვტსთ, ხოლო გაყიდვის ფასი 15 თეთრი/კვტსთ.

## პროგნოზი

- მეტალურგიის მოთხოვნა: მოსალოდნელია მნიშვნელოვანი შემცირება გლობალურ ბაზრებზე ფასების ვარდნის გამო.
- კრიპტოვალუტების მაინინგი: სავარაუდოა, რომ ეს სექტორი კიდევ უფრო გაძლიერდება, ნაწილობრივ კომპენსირებას გაუწევს სხვა სექტორების შემცირებას.
- წლიური მოთხოვნა: პროგნოზირებულია, რომ დარჩება სტაბილური ან მცირედით შემცირებული (<1%) 2023 წელთან შედარებით.
- გენერაცია: ჰიდროენერგეტიკა შენარჩუნდება 2023 წლის დონეზე, ხოლო თბოსადგურები მოერგებიან კვალიფიციური მომხმარებლების მოთხოვნებს.

## დასკვნა

- საქართველოს ენერგეტიკის სექტორი ვითარდება ცვლილებებთან ერთად, ძლიერი შიდა ზრდის ხარჯზე, რომელიც გამოწვეულია მოსახლეობისა და ახალგადაამხდელი სექტორების, მაგალითად კრიპტოვალუტების, აქტიურობით. თუმცა, ექსპორტის შემცირება და ჰიდროენერგეტიკაზე დამოკიდებულება გრძელვადიან პერსპექტივაში გამოწვევებს უქმნის სექტორს.

## შესავალი

ელექტროენერჯის სექტორი მნიშვნელოვან როლს იკავებს ქართულ ეკონომიკაში. მისი პირდაპირი წილი მშპ-ში 3%-ს უტოლდება, ამასთანავე, განსაზღვრავს მთლიანი ექსპორტირებული ნაწარმის 2%-ს. ხაზგასასმელია, მისი ირიბი დატვირთვაც სხვადასხვა ინდუსტრიასთან კავშირში, კერძოდ მეტალურგიასთან, რაც საერთო ჯამში, ელ.ენერჯის ირიბ წილს ექსპორტში 8 %-მდე ზრდის. ეს მოცემულობა კიდევ უფრო მეტ დატვირთვას იღებს, მაშინ, როცა ქვეყანა კვლავ ენერგო-დეფიციტური ქვეყნის სტატუსს ატარებს.

### 1. მოხმარება

2024 წლის მესამე კვარტალი, წლის პირველი ნახევრის პოზიტიურ ტენდენციას ასტაბილურებს. თუკი პირველ ნახევარში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით საშუალო 2%-იანი ზრდა დაფიქსირდა, მესამე კვარტალში აღნიშნულმა მაჩვენებელმა -2% შეადგინა, აღნიშნული კლების დიდი ნაწილი შემცირებული ექსპორტით აიხსნება. რაც შეეხება ქვეყნის შიდა მოთხოვნას, ამ მხრივ სიტუაცია განაგრძობს პოზიტიურ სვლას და მესამე კვარტალში 15% - იანი ზრდით გამოიხატება.

ამრიგად, მიმდინარე წლის მესამე კვარტლის შედეგები ასეთია: ჯამური მოხმარება -3,999.826 მლნ.კვტ/სთ, რაც 1,6% -ით ჩამორჩება გასული წლის მონაცემს, ჯამური შიდა მოხმარება - 2,883.97 მლნ.კვტ/სთ, 14% - იანი ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით.

## 1. მოხმარება

9 თვის შედეგები ამგვარია: 11,667.651 მლნ.კვტ/სთ, აღნიშნული 1%-ით აღემატება 2023 წლის პირველი 9 თვის მონაცემს.

### საქართველოს მოხმარება




### 1.1 მოსახლეობა

მესამე კვარტალის პირველი ორი თვე ის პერიოდია, როდესაც საქართველოში ტურისტული ნაკადები პიკს აღწევს. აღსანიშნავია, წლევანდელ წელს დაფიქსირებული მრავალრიცხოვანი ტურისტული შემოდინებები, რაც პოზიტიურად მოქმედებს მოთხოვნილ ელ.ენერგიაზე. ამავდროულად გრძელდება ოჯახური კერების გამრავლების ტენდენციაც, რაც მშენებლობის სექტორის ზრდით გამოისახება. აღნიშნული ფაქტორები, მშპ-ს ზრდასთან ერთად იწვევს იმ ზრდას, რომელიც მოსახლეობის მხრიდან გაზრდილ ელ.ენერგის მოხმარებაში აისახება.

## 1.1 მოსახლეობა

რიცხვობრივად შედეგები ამგვარია: 2024 წლის მესამე კვარტალში მოსახლეობის მხრიდან მოხმარებული ენერჯია 7%-ით აღემატება, წინა წლის ანალოგიურ პერიოდს. გამოსაყოფია ივლისის თვის მაჩვენებელიც, ზაფხულის მეორე თვეს 15% ზრდა დაფიქსირდა. ამ ზრდის შედეგად, მიმდინარე წლის მესამე კვარტალში მოთხოვნამ 1,956.04 მლნ. კვტ/სთ შეადგინა, პირველ ცხრა თვეში კი 5,430.19 მლნ.კვტ/სთ, რაც 6%-ით აღემატება გასული წლის მონაცემს.



## 1.2. კვალიფიციური მომხმარებლები

მეორე კვარტალში, მთლიანი მოხმარების მნიშვნელოვანი წილი (29%) კვალიფიციურ მომხმარებლებზე მოდის და მესამე კვარტალში 928 მლნ.კვტ/სთ-ს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი წინა წლის ანალოგიურ პერიოდს 32%-ით აღემატება. პირველი 9 თვის ჯამში, მოხმარება 2,445 მლნ.კვტ/სთ-ს შეადგენს, რაც წინა წელთან მიმართებით 14%-იანი ზრდაა.

კვალიფიციური მომხმარებლების მოთხოვნის 50% (469.83 მლნ.კვტსთ) მეტალურგიულ სფეროზე მოდის. საკმაოდ რთული 2023 წლის შემდეგ, ეს სექტორი კვლავ განიცდის გლობალური შოკების და ტენდეციების მიერ გამოწვეულ რესესიას. თუმცა, მიმდინარე წელს, სახელმწიფოს ჩართულობით, ქართველმა მეტალურგებმა შეძლეს გარკვეული დროით გლობალურ ბაზარზე დაბრუნება. ზემოხსენებულის მთავარი მიზეზი კი უცხოურ ბაზრებზე მეტალურგიულ პროდუქტებზე ფასების ზრდა გახლდათ. რიცხოობრივად, საბოლოო ჯამში მესამე კვარტალში, ამ სექტორმა წინა წელთან შედარებით 15%-იანი ზრდა ანახა, საიდანაც მნიშვნელოვანი წილი სექტემბერზე მოდის, როდესაც მთელი 53%-ით მეტი ელ.ენერჯის მოხმარება მოხდა.

ასევე საყურადღებოა კრიპტოინდუსტრიის გაზრდილი მოთხოვნა, სხვადასხვა კრიპტოაქტივზე გაზრდილმა ფასმა, პოზიტიური გავლენა მოახდინა საქართველოში „მაინინგის“ გააქტიურებაზე, რაც რიცხოობრივად 345%-იანი ზრდით ითარგმნება. 2024 წლის მესამე კვარტალში, ამ სექტორმა 102,3 მლნ.კვტსთ მოიხმარა.




## 1.3. ექსპორტი

მესამე კვარტალში საქართველომ 288.14 მლ.კვტსთ ელ.ენერჯიის ექსპორტირება შეძლო. ამ მოცულობის 99% კი პირველ ორ თვეზე, ივლისსა და აგვისტოზე მოდის.

ექსპორტირებული მოცულობა საგრძნობლად ნაკლებია 2023 წლის მესამე კვარტლის მონაცემთან, როდესაც ქვეყანამ 711.69 მლ.კვტ/სთ ელექტროენერჯიის გატანა შეძლო. აღნიშნულის მთვარი მიზეზი, შიდა ბაზარზე გაზრდილი მოთხოვნაა, პირველ რიგში, ქართულ გენერაციას უნდა დაეკმაყოფილებინა მოსახლეობისა და პირდაპირი მომხარებლების მოთხოვნა და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებდა ექსპორტზე ელ.ენერჯიის გატანას. ამასთანავე, საქართველოს მთავარ სავაჭრო პარტნიორთან ელ.ენერჯიის დარგში, თურქეთში, ელ.ენერჯიის ფასების შემცირება, ნეგატიურად მოქმედებს, საქართველოს მხრიდან ექსპორტირებულ ელ.ენერჯიაზე.


სწორედ თურქეთმა შეიძინა ჯამური მოცულობის 79.8 %, მეორე ადგილს სომხეთი იკავებს 47.5 მლ.კვტ/სთ-ით.

9 თვის ქრილში, საქართველომ 1,045.14 მლ.კვტ/სთ მიაწოდა მეზობელ ქვეყნებს, რაც 29% -ით ჩამორჩება წინა წლის ფაქტს.



## 2. გენერაცია

2024 წლის მესამე კვარტალში საქართველოს მთლიანმა რესურსმა 4,058.40 მლნ.კვტ/სთ შეადგინა, აღნიშნული მონაცემი 2%-ით ჩამორჩება წინა წლის ანალოგიურ პერიოდს. ჯამური რესურსი კი 11,849 მლნ კვტ.სთ-ს გაუტოლდა.



### 2.1 ჰიდროელექტროსადგურები

ქვეყნის მთავარი ელ.ენერჯის გამომუშავების წყარო კვლავ ჰიდროენერჯეტიკაა. 2024 წლის პირველ ცხრა თვეში ამ სექტორის მხრიდან გამომუშავებული ელ.ენერჯია (9,480 მლნ კვტ.სთ) რეკორდულად მაღალია წლის პირველი 9 თვისთვის, ამის მთავარი მიზეზი ჰიდროლოგიური მაჩვენებლებია, რომლებიც 2024 წელს ფიქსირებოდა. თუმცა, მესამე კვარტალი 2% - ით , ჩამორჩება წინა წელს დაფიქსირებულ შედეგს.

## 2.2 თბოელექტროსადგურები

2024 წლის მესამე კვარტალში თბოსადგურების აქტიურად გამოყენება აგვისტოს თვიდან დაიწყო და ჯამში, მათი მხრიდან 575.94 მლნ.კვტ.სთ-ის გამომუშავება მოხდა. აღნიშნული რიცხვი ემთხვევა 2022 წლის მაჩვენებელს და 3,5% - ით ჩამორჩება 2023 წლის შედეგს.

## 2.3 ქარის ელექტროსადგური

ქარის ელექტროსადგურების მხრივ, მნიშვნელოვანი სიახლე არ დაფიქსირებულა, მათი წილი კვლავ მინიმალური 1% პროცენტია მთლიან გენერაციაში.

## 2.4 იმპორტი

2024 წლის მესამე კვარტალში, იმპორტირებულმა ელ.ენერგიის რაოდენობამ 36.98 მლნ.კვტ.სთ შეადგინა, აღნიშნულიდან 20.6 მლნ.კვტ.სთ-ს შესყიდვა მოხდა რუსეთიდან და მოხმარდა აფხაზეთს, დანარჩენი კი აზერბაიჯანიდან.

## 3. ფასები

### 3.1 საქართველო

ქართულ ბაზარზე, საბითუმო ელ.ენერჯის საბაზრო ფასი შემდეგია:

2024 წლის მესამე კვარტალში დაფიქსირებული ფასები განაგრძობს ზრდის ტენდენციას, ამისი მთავარ მიზეზი გაზრდილი მოთხოვნაა, რომელიც ამ კვარტალში დაფიქსირდა.


ასევე, ფასების დადგენის მხრივ, ხაზგასასმელია ის ცვლილება, რომელიც ესკომ შეიტანა, საკუთარ პოლიტიკაში. მიმდინარე წელს ესკოს მხრიდან ელ.ენერჯის შესყიდვა ხორციელდებოდა 18 თეთრად, ხოლო გასაყიდ ფასაც დადგენილი იქნა 15 თეთრი კილოვატ საათზე.

#### 4. პროგნოზი

წლის ბოლო კვარტალი მნიშვნელოვნად სახეცვლილ რეალობას წარმოაჩენს, ამის მთავარი მიზეზი კი პირდაპირი მომხარებლები იქნებიან. სხვადასხვა მეტალურგიულ პროდუქტზე დაწყებული ფასების ვარდა პროპორციულად აისახება ქართული საწარმოების შენელებულ/შეჩერებულ წარმოებაში. ამრიგად მოსალოდნელია, რომ ამ სექტორის მხრიდან მოთხოვნილი ელ.ენერჯია მნიშვნელოვნად შემცირდება და შესაძლოა მინიმალურ დონეზეც დავიდეს.

მეორე მხრივ აღსანიშნავია, რომ სავარაუდოა კრიპტოაქტივების ფასების ზრდა, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს „მაინინგის სექტორს“. მოსალოდნელია, რომ ეს სექტორი წლის ბოლომდე განაგრძობს ელ.ენერჯიის მნიშვნელოვნად მოთხოვნას, რაც გარკვეულ წილად დააკომპენსირებს მეტალურგიული სექტორის ჩავარდნებს.

ამგვარად, გამომდინარე მოსალოდნელი სუსტი მეოთხე კვარტლიდან, წლიურ ქრილში ელ.ენერჯიაზე მოთხოვნა გაიმეორებს ან მცირედით (1%-ზე ნაკლებით) ჩამორჩება 2023 წლის პერიოდს.



#### **4. პროგნოზი**

ასევე საინტერესო სიტუაციაა მოსახლების მხრივ, ზამთრის დადგომასთან ერთად, ქვეყანაში ტურისტული ნაკადების შემცირებაა მოსალოდნელი, რამ მნიშვნელოვნად ზრდიდა მოთხოვნას ზაფხულის პერიოდში, თუმცა მეორე მხრივ, ცივი ზამთრის პირობებში, სავარაუდოა, რომ მოსახლების მხრიდან მოხდება მეტი ელ.ენერჯის მოთხოვნა. საბოლოო ჯამში, სავარაუდოა მოთხოვნის წლიური, 2%-იანი კლება.

გენერაციის კუთხით, ზამთრის თვეები ნიშნავს, თბოსადგურების წილის გაზრდას, სავარაუდოა, რომ წლევეანდელი ჰიდრო გამომუშავება დაემთხვევა შარშანდელი წლისას, ხოლო თბოსადგურები მოერგებიან პირდაპირი მომხარებლების მოთხოვნას.

# VYNITY

Feel The Future, Be The Future

შპს "ენჯი დატა პროცესინგი"  
მის.: ქ. თბილისი პ. ქავთარაძის I შესახვევი 56  
ს/კ: 405697857  
ელ-ფოსტა: info@vynity.com

LTD "Enji Data Procesing"  
Adress: Tbilisi, P. Kavtaradze I Turn N6  
Tax Code: 405697857  
Email: info@vynity.com